ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-XVI №5. მარტი, 1920 წ.

მგლობლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I. მგალობლები—სურათი 1

II. ***—ლექსი შიო ღვიმელის. 3

III. მელიკო და თვალ-თავშავა,—დ. კასრაძისა 5

IV. ცელქი თამრიკო,—ლექსი გ. კოლელიშვილისა . . . 12

V. ჭინჭველის საოცარი თავგადასავალი,—სკვორცოვისა (შემდეგი) თარგმ. ,კაკისა 15

VI. ცხენი და მისი პატრონი,—(იგავი) ალ. მირონაშვილისა. . 20

VII. მკითხველების წერილი,—ჩემი მეგობრები—გ. ჯაფარიძისა . 22

VIII. გასართობი: პაწია რებუსები და ახსნა 24

ეროვნული ბიბლიოთეკა



*
* *

ადღეისო განთიადმა
რახანია დაჭერა ცაზე;
გარიჟრაჟის მკრთალი შუქი
გადმოჭფინა ქვეყანაზე.

ღამის მეხრის დარაჯ-მამალს—
ტოროლას ვინ აასწრობდა:
განთიადს და გარიჟრაჟსა
ის ბინდ-ბუნდში უგალობდა.

აიშალა მერცხალთ გუნდიც
მოეფინა მინდორ-ჭალებს,
ვინ აჯობებთ ფრენაშია
ფრთა-ცქვიტებსა და ფრთა-მალებს.

ჩაუარეს ბაღჩა-ბაღებს,
გადახედეს მწვანე ოლეს,
ქინქლასა და ჭია-ღუას
ელვასავით დაუქროლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც გაჭკრეს ფრთა-ნისკარტი
ალარც ერთს არ დაეცალეს,
ზოგი იქვე გადასანსლეს,
ზოგი წამოაცანცალეს.

შვილები რომ გაახარეს,
ფრთები ისევ გაამალეს,
ვისაც წასწვდნენ, წაეწივნენ,
არც ერთი არ შეიბრალეს.

მერცხლებს ჭია-ღუათათვის:
მზის სხივები კი არ შურდათ:
ეკავილების სიცოცხლე და
სამკაული გაექურდათ.

მათი ეოფა-საქციელი
მავნე იყო და უგვანი,
ასე რომ არ მოქცეოდნენ
წახდებოდა მთლად ბოსტანი!..

შიო მღვიმელი.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელიკო და თვალ-თაგშავა

ეო და არ იეო რა... ტეუილი კი არ გეგონოთ,—მხოლოდ სიმართლეს მოკლებული ამბავია...

ჭო და იეო და არა იეო რა, იეო ერთი მელიკო. ჩვეულებრივი კი არა, აგერ იმ სერის ძირს რომ ჭბუდობს, არამედ სულ სხვა: ცისფერ ქათიბიანი, კოსტა მესტებიანი, ცეცხლის თვალებიანი, გრძელ კუდა და მოკლე ეურა, გრძელ ულვაშებიანი.

ახლა უნდა გენახათ, როგორ მოკაუჭებული ხმალი ჭქონდა! სულ ოქრო-ვერცხლით მოექარგნა. მაგრამ რა ხმალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ კბილები ბრძანეთ, კბილები! სულ ალმასივით ბრწყინავდა და ისეთი ბასრი ჰქონდა, ისეთი რომ, რომელ მამლაყინწასაც წაავლებდა, თავს კისერში გააგდებინებდა სოლმე.

ჰო და აი სწორედ ეს მელიკო სცხოვრობდა ოდესღაც, სადღაც, რომელიღაც შორეულს ქვეყანაში, რომლის სახელი დამავიწყდა და ვერც ზღაპრებში ამოვიკითხე. თვითონ მელიკო ქოჩორ-ნისკარტიანეთის ხელმწიფედ სთვლიდა თავს. რა ამაყი და ეშმაკი იყო ის შეჩვენებული, როგორი მოუსვენარი და ნებიერი! თქვენ ის უნდა სთქვათ, თუ როგორ სცხოვრობდა, როგორ! სულ დიბა—ატლასითა და ოქროთი მორთულ სასახლეში დაბრძანდებოდა, რომელსაც სორო ერქვა. მისი ლოგინი ათას-ორასი ბატის ბუმბულისაგან იყო გაკეთებული და ათიათას შვიდასი ბატისავე გერმით გამოეტენა ლამაზი ყურბალიში, რომელზედაც ნებივრობდა და მხართეძოზე ტკბილად სთვლემდა. ოციათასი ინდოურისა და მამლაყინწას ფრთა ჰშვენოდა მის ტახტრევანის საჩრდილობელს. როცა სიამე ეწვეოდა და წამოწოლილი ოცნებაში თვალს მოსჭუტავდა, ასიათასი ვარია უცბად მის წინ თავს წამოჯეოფდა. კბილები უკაწკაწებდა, წამოხტებოდა, იენოსავდა და უკვე იცოდა, სადაც უნდა ეოფილიყო დასაფორიაქებელი საქათმე. უმალვე იქ დაერჭობოდა. ხელად ხვრელს გააკეთებდა, დაიხურგავდა ვარიებს, ეოშებს უკან გადიკრავდა, ცუნცულით შინისკენ გამოსწევდა და ჰერი ბიჭო! მოჰყვებოდა ქეიფს! მე შენ გითხრა, „ძრაგალ-ყამიერს“ ვერ იტეოდა, აი! გამოთვრებოდა და გერმის ბალიშზე მიწოლილი კუდს ეშმაკურად აქიცინებდა, იქნებ ყვავს ან კაჭკაჭს მკვდარი ვეგონო და დამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრინდნენო. თუკი ასე მოხდებოდა, თითონ იცოდა რასაც იზამდა და სისხლს როგორ გამოადენდა ჭარამზადებს...

* *
*

მართალია, ჩვენი მელიკო ასეთს ქეიფში იყო, მაგრამ მის გულს ერთი მატლი ჭღრღნიდა, იცით საქმე რაში იყო? ის შეეგარებული გახლდათ. შეეგარებული და ისიც ვისზე? თვალ-თავშავაზე! ეს ჰირდაპირი მზეთ-უნახავი იყო ოქროს გვირგვინით, მარგალიტებით მორთული კაბებით, ვარსკვლავა საყურეებით და ოქროთი ნაქარგი კოჰწია ქოშებით. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, როგორც მოციმციმე დილის ცვარი და ისეთი ეშხიანი, სიხარულით მოკისკისე, როგორც განთიადზე ჰირველად გაშლილი მაისის ვარდი. ყველა ხელმწიფის შვილებს მასზე ეჭირათ თვალი, მაგრამ საიდან, როგორ მიუდგებოდნენ, როდესაც თვალ-თავშავა ბრილის კოშკში იზრდებოდა, რომელსაც ცხრაპირი გალავანი ერტყა და ერთი ცხრათაკიანი დევი ფრთოსანი ცხენით გარს უვლიდა. ყველას ეშინოდა იქ მისვლა. აბა, გეთაყვათ, ჩვენი მელიკო რადას გაბედავდა? ნაღვლიანად მუდამ გულში ხელს იცემდა და ჯავრის გასაქარვებლად ლოგინზე თან გორაობასა და ზმორებას უმატებდა, თანაც ნასუფრალზე დარჩენილ ვარიების ძვლებს უგემურად აკნატუნებდა...

* *
*

ერთხელ ადრიან ადგა.

—ღმერთო და ბედო, შენ მომიმართე ხელი...—სთქვა და წიწილ-კრუხი მოიწვია, ყველას თავები წააწყვიტა, ვინ იცის, იქნებ დაბრუნება აღარ მელირსოს და ჩემი ქონება სხვამ რად უნდა მოიხმაროსო. შემდეგ გოჭებს დაუძახა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანტა შეურხია და სთხოვა: აბა, მასიამოვნეთ და ბედსა გწევო. ვატარა ტასუნჯულებიც ღრუტუნით დაერივნენ ვანტას და სულ ერთიანად შესთქვლიფეს. იმათ ასე ესმოდათ მელიკოს სიამოვნება. მელიკო გაცხარდა, იმრო ხმალი და ყველანი ამოქლიტა, ასე უვატიოდ რად მოშექეცით. ერთად ერთი ციკანი გადაურჩა და ისიც იცით რატომ? სეირნობის დროს რქაზე ვანტა დარჭობოდა და მელიის წინ წვერის ცანცარით გამოიარა. მელიკომ სიხარულით გადაჭეოცნა:

—ჩემო მეირფასო, ჩემო სანატრელო, მოდი გაკოცო, მოდი... უშენოთ ფესსაც ვერ გავადგამ... წავიდეთ ერთად, ბედსა მწიე და ბედსა გწევ...

ოქროს უნაგირი რომ დაადგა, საცოდავად აკიკინდა:

—ბე-ე-ე! ბე-ე-ე!

ღმერთს რა შევცოდე-ე-ე...

მელიკომ თავი გამოიდო, სტაცა წვერში ხელი და სულ ერთიანად დააგლიჯა:

—როგორ თუ ურჩობას მიწევ? შე ბრიყვო, წეალობად ის არ გეყოფა, რომ უკუდოს ჩემი მშვენიერი კუდით გაგაპატიოსნებ, როცა შეგჯდები?

ციკანი დამორჩილდა. ნეკერის ჩაგნატუნება ვერც კი მოასწრო, რომ მელიკო გამოპრანჭული გამოვიდა: ოქროს ხმალი დაეკიდნა, აბრეშუმის ეელსასვევით გულ-მკერდი დაეშვენებინა. წითელი აბრეშუმის ასალუსი ჩაცვა და სულ ვიწინ-ვიწინი და შარიშური გაჭქონდა. კოსტა ჩოხაზე ოქროს მასრები ამოეწკიპნა, ბუზმენტით მორთულ ჩექმებზე კიდეც ოქროს ქინქლილებიანი დეზები დაეკრა, ცხვირზე სათვალები დაეწეო; მაღალი კალმუსის ჩატეხილი ქუდი დაეხურა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულვაშებ დაწკეპილს თეთრ ხელთათმანით დამშვენებულ ძარღვენა ხელით გრძელი ღურბინდი დაეჭირა, რომ გზები წინასწარვე

დაეთვალერებინა და თვალ-შავთავას ცისე-დარბაზამდე უფათერაკოდ მისულიეო.

* *
*

ბევრი იარა მელიკომ, ბევრი... ცხრა მთა გადაიარა, მაგრამ თვალ-თაგშავას ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო. გულს კი არ იტეხდა. გზა და გზა ეველანი შეაშინა თავისი რიხიანი სიმღერით:

„ეს ესმოდეს ეველასაო,
რო მოშეხსნან მელასაო.
თორემ გზას ვინც გადმიღობაეს,
ავუტირებ დედასაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიმდერით დურბინდს ხან ერთ მსარეს მიახერებდა ხან მეორეს. ბოლოს ერთ მწვერვალზე შეამჩნია სპილოს ფეხებზე აგებული სახლი, საიდანაც ბეჭედსავით წვრილი ბოლი ამოდიოდა. მელიკოს გულში გაჭეენწლა, მაგრამ მაინც რიხიანად გასწია იქითკენ. მიახლოვებისას დედაბერი გამოეგება.

—ვინა ბძანდებით?

—მე გახლავართ ქოჩორ-ნისკარტიანთა სამეფოს გამგებელი.

—სად არის ეგ ქვეყანა?

—ჯანაბეთში.

—ჯანაბეთში? უი შენ კი გენაცვალე! ალბად კარგი რამ იქნება ეგ ჯანაბეთი! არ შეიძლება ჩემი შვილიც იქ წაიყვანო?

—რომელი შვილი?

—არ იცი განა? თვალ-თავშავას მცველი დევი...

მელიკომ ტუჩზე იკბინა, სულ ჭირის ოფლში გაიწურა.

—აქ ხომ არ მოვა?

—რაგორ არა, აი, საცაა აქ გაჩნდება, რომ თავის საუზმე, მოხრაკული ბატკანი და ახლად გამომცხვარი ნაზუქი წაიღოს სადილობამდე შესაქცევად.

—იცი რა, დედილო, მოცდისთვის არა მცალიან. თუ გინდა, მეც გზა იქით მაქვს: წავიღებ ყველა ამას და როცა შემხვდება, თან წავიყვან.

—აგრე, აგრე...

—ჯანაბეთიდან როცა დაებრუნდებით, სულ შავი ალმასისა და ლალ-იაგუნდის ფორთოხალსა და ბროწეულებს მოგიტანთ, ვარსკვლავებით მოჭედილს გვირგვინს და ისეთს კაბას, რომ მისი ჩაცმა და შენი გაუმაწვილება ერთი და იგივე იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება. ისეთი ლამაზი იქნები, ისეთი რომ თვით თქვენი ძეფის გომბიო ის ვიდაცა ცხრა კლიტულში გამომწყვდეული თვალ-თავშავა რომ არის, სულ ჯავრით მოკვდეს...

თავბრუ დაესხა დედაბერს. მელიკო კარგად დასტვირთა ბატკანითა და ნაზუქებით, ერთი არაეიც გადააკვრევინა და როცა გაისტუმრა, ღჯოლებ დაშვებული მიიჯრა სარკესთან, ფერუმარილის თხუნნას მოჭყვა და თავის თავს თვითონვე ეწონებოდა:

—შეხეთ, შეხეთ რა ლამაზი ვეოფილვარ! ახლავე უკვე თვალ-თავშავასა ვჯობიეარ! აბა ახლა ჯანაბეთიდან ერთი ის გვირგვინი და კაბა მომიტანონ, ზოგი მაშინაც მნახეთ!..

თავბრუდასხმულმა დედაბერმა ბუქვნა დაიწეო, წინდაწინ თავის გაუმაწვილებას დღესასწაულობდა.

დ. კასრაძე

(დასასრული იქნება).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცელქი თამრიკო

ებო ზის
ბუხრის ჰირს,
წინდას ჭქსოვს
ფერადს, წვილს
უმზადებს
შვილიშვილს.
ჭრელია, სქელია, მაღალი ყელი აქვს.
თითები, ჩხირები
თრთოლავენ,
ტოკავენ,
კალთაში გორგლები
მარდათა გორავენ.—
ბუხარში ცეცხლი-კი
ჭახჭახებს, გუზგუზებს,
ჰატარა ქოთანში
ლობიო ჩუხჩუხებს.
ალერსში გაერთო,
საქმემ ვერ მოჭქანცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დაიწყო,
ჩხირები დამართა...
ქსოვს წინდას
ფერადს, წყვილს
უმსადებს, შვილიშვილს...

კუნტრუშით კუდრაჭა,
თამრიკო შერბის შინ.
რას ხედავს! ღრმად სძინავს
ბებიკოს ბუსრის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიდან უჩუმრად წინდები გაამრო,
სიცილით, ხითხითით ჩხირები დაამრო,
გორგლები იხელთა, მსწრაფულ გარედ გავარდა.
გაჭკრა და კუდრაჭამ მსწრაფულ გაინავარდა,
ბებიკო წინდის ჩხირს
ჭკრეფავდა კრუსუნით.
თვის ბედსა სჩიოდა,
მოსთქვამდა ბუზღუნით:
—უფალო, მიცოცხლე
თამრიკო ქალიო,
კუდრაჭას ასწავლე
მოსწავლის ვალიო,
ეეოფა სიცელქე,
ამდენი სირბილი,
ამდენი გიჟობა,
ანცობა, სიცილი!..

გ. კოლელიშვილი.





ჭიანჭველას სოცარი თავგადასავალი.

VI.

ტყვეობა.

ჩვენი ბავშვები გადარჩენილია.—წითურ ჭიანჭველებს მუშაობა არ შეუძლიათ. იმათ ომში ვაგზავნით ფუმფლების წასართმევად.

იდხანს მიკეავდით წითურებს. ბოლოს გამოჩნდა მათი ქალაქი. ჩემს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როდესაც მოგვეგებნენ ჩვენივე მხრის მცხოვრებლები, ჩვენსავით მშვიდობის მოსიყვარულე ჭიანჭველები და მხიარულად მიესალმნენ ჯარს.

——რა ეოჩაღები ხართ! დიდი ნადავლით დაბრუნებულხართ! ახლა კი არსეინად იცხოვრებთ! აბა მოგვეცი ჩქარა ბატარები.—ამ სიტყვებთან ერთად აიყვანეს ბატარები და ფრთხილად წაიყვანეს ქვედა სართულში. წითური მხედრები კი მიწაზე გაიშლართნენ და დაიყვირეს: ,,სახეთქი, სახეთქი ჩქარაო!'' მე გაკვირვებული ვუცქერიდი ყველაფერს.

—სად მიგყავთ ბავშვები და რას უბირებთ მათ?—ვიკითხე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—საბაეშო ოთახში წავიეეანთ, იქ გამდლები რმეს ვჭმეეენ. იმედი გვაქს, თქვენც უარს არ იტეეით და ბავშვებს მოუელით, რადგან ჩვენთან სართ. საწეულებს, როგორ მოშიეებოდათ გზაში.

—განა ბატარეებს არ შესჭამთ? არაფერს არ ავნებთ?

—რას ამბობთ, ჭიანჭველების მჭამელნი ხომ არა ვართ?!

—არც წითურები შესჭამენ?

—რას ამბობთ, ღმერთო, რა სასაცილო სართ! არა თუ შესჭამენ, მტრებისაგანც დაიცავენ.

—მაშ, ბავშვები გადარჩენილან! ოჰ, რა მისარია! მე კი მეგონა... ჩვენ ეველანი მათ დაღუპულებად ვთვლიდით... მაგრამ უკაცრავად, მაშ რისთვის წაგვართვით ისინი ჩვენ?

—უჰ, ამის ახსნას ბევრი ლაპარაკი დასჭირდება, მე კი დრო არა მაქვს. იცხოვრებთ ჩვენთან.—თითონ დაინახავთ. ახლა კი უმჯობესია გვიშველეთ, ბალღებს საჭმელი მივაწოდოთ. აი თქვენ საწულებო, ალბად, ძლიერ მოგშიედათ? ამ წუთში, ამ წუთში გაჭმევთ ტკბილ რმეს.

—ტეეეო, ჩქარა საქმეს შეუდექი!—მიბრძანა მე ერთმა ძარდმა ძიძამ, რომლის სახელიც ცქვიტი იეო.

სამუშაო ბევრი გამოჩნდა და მეც დაუღალავად შეუდექი საქმეს, როგორც ჩემს საკუთარს სახლში.

ბევრი დრო გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რისთვის იეო საჭირო წითურებისათვის ჩვენი ბალღები.

მათი საშინელი ებები მუშაობისთვის გამოუსადეგარი იეო. შესანიშნავია ისიც, რომ სრულებით ბავშვების აღზრდა არ იცოდნენ; არ იცოდნენ როგორ აღესარდათ მათში სამშობლოს გამოსადეგი მუშაკები. ჩვენ, მშვიდობიანობის მოეეარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველები-კი, ვანვითარებდით ბალღებში სხეულის საჭირო ნაწილს, ვუშლიდით გამოუსადეგარ ნაწილების გაძლიერებას და ამიტომაც ჩვენი ქალაქი მშვენიერად იყო მოწყობილი; წითური ჭიანჭველები-კი მიდიოდნენ სხვის ქალაქებში, ილაშქრებდნენ და იქიდან მოჰყავდათ სხვა ჭიანჭველების ბუნაგში აღზრდილი მუშები. ტევეები არ გრძნობდნენ თავის-თავს დაჩაგრულად და მუშაობდნენ ისევე მუყაითად, როგორც თავის საკუთარ სახლში.

დიდხანს საქმე მშვიდობიანად მიდიოდა. ერთხელ, ის იყო ბავშვებს ვაჭამე, ქალაქში სამუშაოც მოვითავე და სხეულის დამშვიდება და დასვენება მინდოდა, როდესაც ჩემს მოძმეებს რაღაცა აღელვება შეეამჩნიე.

— რა მოგვიდათ, ამხანაგებო?—ვკითხე მე.

— უბედურება! მუშები აღარ გვყოფნის!.. ვინ აჭმევს საჭმელს ბავშვებს და წითურებს? ვინ, ვინ გააკეთებს ყველა საქმეებს? უნდა ვაიძულოთ წითურები წავიდნენ ფუმფლების და ჰაწია ტევეების მოსაყვანად.

— უნდა ვაიძულოთ, უნდა ვაიძულოთ!—ყვირიოდნენ ყოველ მხრიდან. წავიდეთ იმათთან!

მეც წავედი საოცარი სურათის სანახავად, თუ როგორ დასძრავდნენ ალაგიდან ზარმაც წითურებს?

წითური ჭიანჭველები მზეზე იწვნენ და ითბობდნენ; დრო გამოშვებით ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდებოდნენ და აწკარუნებდნენ თავიანთ საშინელ უბებს. მუშების დანახვაზე ისინი მოხალისდნენ.

— სახეთქი, სახეთქი, მოგვიტანეს... ჩქარა, მოიტათ!..— დაიყვირეს იმათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ საომრად წაბრძანება ინებოთ, ფუმფლების მოსატანად! გეეოფათ უსაქმოდ გორაობა.

— როგორ თუ საომრად? რა დროსია! განა ბევრი დრო გავიდა, რაც დიდი ნადავლი მოგიტანეთ?!

— ცოტაა, ცოტაა!—მოისმა ეოველ მხრიდან.—კიდევაა საჭირო, ჩვენ არა გვეოფნის, თორემ თქვენც და ბავშვებიც შიმშილით დაიხოცებით.

წითურებმა თავი ჩაქინდრეს; ეტეობოდათ მეტის-მეტად ეზარებოდათ ომში წასვლა, მაგრამ ერთმა მათგანმა სთქვა:

— რა უეოთ, რაც უნდა გვეზარებოდეს მაინც უნდა წავიდეთ*).

— სახეთქი, სახეთქი, რომ ღონე მოვიკრიბოთ, თორემ ისე ომში წასვლა არ შეგვიძლია!—ეკითხნენ ისინი.

— ჭამეთ, თუ გინდათ, საჭმელი თქვენს ახლოს აწეკია-თვითონაც მისწვდებით.

— ოჰო, რა ჭკვიანები ხართ, ჩვენვე ვიზრუნოთ, მივსწვდეთ და ვჭამოთ; თქვენ რაღას გააკეთებთ?

ამის შემდეგ საძალელი სურათი დავინახე: ჩემი ნათესავი მუშები მორჩილად შეუდგნენ წითურების წმენდას და ჭმევას. საზიზღარი სანახაობა იეო.

ჭამის შემდგომ, წითურები ძალა უნებურად საომრად წავიდნენ. მაგრამ ძალე ჩემდა განსაცვიფრებლად ისევ უკან დაბრუნდნენ ხელ-ცარიელნი.

ამან დიდი აწეწვა გამოიწვია მუშა ჭიანჭველებში.

---

*) წითური ჯიშის ჭიანჭველების რიცხვი ბოლო დროს არ არის ბევრი.—ზოგიერთი იმათგანი ისე დასუსტდა სხეულით, რომ არ შეუძლიან მუშები იშოვნონ და იღუპებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ შემოვუშვათ სახლში, სანამ ფუმფლებს არ მოიტანენ! ეველანი ალაუაფის კარებს მისცვივდნენ და გზა გადაუღობეს.

— არ შემოგიშვებთ ხელ-ცარიელებს! უკან, ზარმაცებო!

— დაიცადეთ, როგორ ჭბედავთ: რა უფლება გაქვთ ჩვენ პატრონები არ შეგვიშვათ ჩვენ საკუთარ სახლში, სადაც დასვენება გვინდა?

— სა, სა, სა, რაო, ზარმაცებო? ცუდ მდგომარეობაში ჩავარდით, ძმებო! სა, სა, სა,—ვეეიროდი მე.

წითურებმა ააწკარუნეს თავისი ებები; საშინლად გაბრაზებულებს, ვამჩნევდი, უნდოდათ მცემოდნენ და გავეგლიჯე, მაგრამ მე მაინც არა ვსცხრებოდი ვხარხარებდი და დავცინოდი.

— როგორ, მხოლოდ გვაშინებთ და ხელის ხლებას კი ვერა ჭბედავთ?

ასეთი წინააღმდეგობის დანახვაზე, წითურები გაჩერდნენ, დაფიქრდნენ და ისევ საომრად გაემართნენ. მათ მიემატნენ სახლში დარჩენილებიც მე ვიცოდი, რომ ისინი მშვიდობიანობის მოუვარულ ჭიანჭველებს დაეცემოდნენ თავს, შეიძლება ისევ ჩემ საშობლო ქალაქს! აუტანელი შეიქმნა ჩემთვის იქ დარჩენა, და გადავსწყვიტე ამ ეჩაღების ბუნაგიდან გავქცეულიყავ, მაგრამ სანამ სურვილს სისრულეში მოვიყვანდი მოწმე გავხდი ისეთი შემაძრწუნებელი შემთხვევისა, რომელსაც ახლაც შიშით ვისსენებ და, რომლის წინ მეც ჩემ მიერ განვლილი, დანარჩენი უბედურებანი არარად მიმაჩნია.

კაკი.



ცხენი და მისი პატრონი

(იგავი)



ეჭმელობისაგან საშინლად მისუსტებულმა ცხენმა პატრონს საუვედური გაუბედა:

—იწამე ღმერთი, დამიფასე ერთგული სამსახური, შიმშილისაგან, ლამის სული ამომხდეს; ქერს ჯანი გავარდეს, ნეტავი დღეში ერთი მუჭა უბრალო თივა მაღირსო.

—ჩერჩეტო, ბრიყვო,—მიუგო პატრონმა,—ეურები კარგად გამოიბერტყე და შეიგნე, რომ ქვეყანა თივის სიმვირეს უჩივისო!

მალე მას ქალაქში რაღაც საჩქარო საქმე გამოუჩნდა. რასაკვირველია, ცხენი დასჯირდა, გამოიყვანა, შეკაზმა, შეჯდა და გაუდგა გზას.

დიდი მანძილი არ გაეელო, რომ მუსლში ღონე-გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეულმა ცხენმა თავი ვერ შეიმაგრა, უეცრივ წამოიჩოქა და მოჩქარე მხედარი თავის-და-უნებურად მიწაზე წამოშხლართა.

საკმაოდ დაქექილ-დაშავებული მგზავრი კვნესით წამოდგა ზეზე და ტკივილებისაგან გაბრაზიანებულმა ცხენს დაუწყო გინება:

—შე ოხერო, შე ტიალო, კაცი კინაღამ მომკალ, ბორ-ძიკი დღემდის არ იცოდი, ახლა რა ჩემი ჭირი გივარდა, რამ გასწავლა?!

—თივის სიძვირემაო,—ძწარედ მიუგო ცხენმა.

ალ. მირიანაშვილი.





ჩემი მეგობრები.

ე მყავს სამი მეგობარი: ქათამი-ქოჩორა, შაშვი და თხა-ბეკო.

ჩემი ქოჩორა ისეთი რამ არის, რომ ახლოს ვერავინ მიეკარება. ვერ გაივლის ჩვენს ეზოში კატა ქოჩორას შიშით. გამოუდგება და სულ ფსაკაფსუკით გადააგდებს ღობეს იქით. აღარც ძაღლები გაუშვა დაუნისკარტებელი, ემტერება თავის ამხანაგების, შაშვის და ბეკოს მტრებს.

შაშვის ამბავს ნულარ იკითხავთ; მოაწყვდა განთიადი თუ არა, დაიწყებდა გალობას, ლოცვას და თავის ამხანაგებს ღმერთს აყვედრებდა. ეზოში სათოხნად რომ წავიდოდი, ისიც, როგორც ბეჯითი მუშა, წამომეყვებოდა და თოხის მაგივრად ნისკარტს სცემდა ნათოხნს, იპოვნიდა ჭიას, მოირბენდა სახლთან, შეჯდებოდა ღობეზე და დაიძახებდა:

— ჭახ, ჭახ, ჭახ!. გაიგონებდა ქოჩორა ამას თუ არა, ისიც შემოსძახებდა:

— კა, კა, კა, კა, კა, კაო.—ესტუმრებოდა . შაშვს, რომელსაც მხადა ჰქონდა მისთვის მომზადებული ბურ-მარილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესთავაზებდა ჭიას, ქოჩორაც წაავლებდა ნისკარტს აქედან, იქიდანაც შაშვი, გასწევ-გამოსწევდნენ, გასწევეტდნენ შუაზე და თავ-თავის წილს გადაულაპაკდნენ.

ბეკო კი ცხოვრობს დიდებულად! არ იფიქროთ, რომ უბრალო თხა იყოს, კეთილ-შობილი აზნაურიშვილი გასლავთ; უყვარს ბროწეულების, ტყემლის და ბიას ნეკერის ჩაკნატუნება. მეც ვაჭმევ, ისიც ბევრ რძეს იწველის, მეთამაშება, სულ კუნტრუშობს. ერთხელ, როდესაც ფანჯარასთან ვიდექით მე და ჩემი ამხანაგი ბეკო, უეცრად მან ფანჯარაში დაინახა თავის ლანდი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოექანა. მეც მივსვდი, რასაც დაემუქრა ბეკო და გადაუდგა წინ, მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ შენი მტერი წავიდა ისე, როგორც მე იმან წამიღო: ისე დამეჯახა, რომ სულ დამიბნია დავთარი, შუა გატეხა და ბეკოც დაიჭრა რქაში. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ორი გამოუცხადეს ჩემს შაშვს იხვებმა. მეც ვიცოდი, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას და ვსცდილობდი შემერიგებინა ისინი, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. ერთ დღეს, როდესაც მე შინ არ ვიყავი, მოსვლოდათ ჩხუბი და იხვებს თავი მოეგლიჯათ შაშვისთვის. მე ძალიან მეწყინა, ბევრიც ვიტირე, მაგრამ რაღას გავაწყობდი: ისევ ვარჩიე მკვდრისთვის მაინც მეცა ჰატივი, ამოვთხარე საფლავი და დავმარხე. ბეკო და ქოჩორაც დამესწრნენ და ბევრიც იტირეს ცხარე ცრემლით, რადგანაც საუკეთესო ამხანაგი გამოაკლდათ. ბეკო და ქოჩორა კი ახლაც კარგად არიან და მელოდებიან მათ გულითად მეგობარს.

თფილისის ვერის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის
მეორე კლასის მოწაფე **გ. ჯაფარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაწია რებუსები.

1. , , ა

2. ზ  , , 3. ბ , 10

მე-4 №-ში მოთავსებულ პაწია რებუსების ახსნა:

1. სურათი, 2. მარდი, 3. ბარბარე, 4. თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1920 წ.

წლისათვის

დასურათებული

საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	150	მან.
ცალ-ცალკე	85	„
ნახევარი წლით	90	„

მისამართი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ეოთვილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
გამომცემელი **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

სტამბა ქალაქთა კავშირისა.